

# მგზნებარე შეყვარებული

## პირველი მოქმედება.

გაისმის ზარის ხმა. ცოტა ხნის შემდეგ გასაღები გაიჩხაკუნებს და იღება კარი.

ზაზა- დედა! დე-ე!

პასუხი არ არის. ზაზა სწრაფად შემოდის. კარს გამოიხურავს. აცვია მოხდენილი ლურჯი კოსტუმი, ლურჯი პალტო, ნაცრისფერი ფერის შლიაპა. გასაღებს კარიდან გამოიღებს და იქვე თაროზე დადებს. პორტფელს იატაკზე დგამს. გაზეთს დააფენს, ფეხსაცმელს გაიხდის და ზედ დააწყობს. პალტოს და შლიაპას კარადაში ინახავს, საიდანაც ქალის ტანსაცმელი მოსჩანს. მივა ფანჯარასთან, ფარდას საგულდაგულოდ გადმოსწევს.

გარეთ შობისწინა დეკემბრის ჩახჩახა დღეა, მაგრამ ოთახში ჩამოხნელდება. ზაზა სინათლეს ჩართავს. პორტფელიდან ვისკის ბოთლს ამოიღებს, მაგიდაზე დადგამს, მერე ლოსიონის ბოთლს დააძრობს, ხელებზე დაისხამს, საგულდაგულოდ შეიზილავს, თითებს დაყნოსავს. საათს შეხედავს, დივანთან მივა, გაშლის ისევ შეხედავს საათს, დივანს აკეცავს, ტელეფონზე რეკავს თითქმის ჩურჩულით ლაპარაკობს.

ალო! გუჯუ შენ ხარ?... ხო,ხო... ზაზა ვარ. როგორაა საქმე? ხომ არაფერი გიჭირთ?... ნანიკო მოვიდა? .. ნანიკო ჭურჭლის მრეცხავი... რა მნიშვნელობა აქვს ნუცედი იყოს. არ მოვიდა? ახლა ვერაფერს გავაკეთებ... ხუთზე მოვალ... უთხარით მაღაზიაში რომ ვარ? .. აბა, წავედი... ექვსის ნახევარზე ნამდვილად მანდ ვიქნები... [ყურმილს დადებს. ჩაფიქრდება.] აზრზე არა ვარ, რა ჯანდაჯად მოვედი! [კარადასთან მივა] ზარის ხმა. წამით შეყოვნდება და მეორე გასასვლელს ეძებს, რომელიც ცხადია არ არსებობს. კართან მიიღრმნის, ჭურჭულტანაში გაიხედავს, დარწმუნდება, რომ მისი სტუმარია და აღებს.

შემოდის ანა თავზე ხელაღებული ქალის შთაბეჭდილებას ტოვებს. აწრიალებული ზაზა მისჩერებია.

გამარჯობა!

ანა გაუღიმებს და თავს დაუქნევს.

ზაზა- სამზარეულოში ვიყავი და ზარი ვერ გავიგონე.

ანა ჩაუვლის.

შემობრძანდით, შემობრძანდით.

ანა-[მიუტრიალდება] უკვე შემოვბრძანდი.

ზაზა-როგორ ბრძანდებით?

ანა-შესანიშნავად.

ზაზა-ასევე შესანიშნავად გამოიყურებით.

ანა-რას მომჩერებხართ, არ გეგონათ, რომ მოვიდოდი?



ზაზა-მეგონა, მაგრამ დარწმუნებული არ ვიყავი.

ანა-დარწმუნებული არც მე ვიყავი, მაგრამ მოვედი.

ზაზა- და ძალიან გამახარეთ.

ანა-სასიამოვნოა.

ზაზა- რომ არ მოსულიყავით, გული დამწყდებოდა, თქვენ?

ანა- მე? არა. მეცოდინებოდა, რომ არ მოვდიოდი და რაღაზე დამწყდებოდა.

ზაზა-ასეა თუ ისე, მოგესალმებით ქალბატონო... მაპატიეთ, თქვენი სახელი დამავიწყდა.

ანა-მიპატიებია. ანა..

ზაზა-ნუთუ?

თეკლა-თქვენ გგონიათ, შემეშალა?

ზაზა-რატომღაც სხვა სახელს ველოდი.

ანა- მაინც რას?

ზაზა-არ ვიცი. ჩემი გუშანით, მგე უფრო მოგიხდებოდათ.

ანა-მეგი [სარკეში ჩაიხედავს] არა. ანა უფრო მიხდება.

კიდევ რა გაინტერესებთ?[ოთახს ათვალიერებს.]

ზაზა-უკაცრავად. ეს ისე... სიტყვის მასალად... იქ სამზარეულო და

ტუალეტია...

ანა-[ისევ ათვალიერებს] საწოლი? საწოლი ოთახი სად არის?

ზაზა- სამწუხაროდ არ არის, სამაგიეროდ დივანია ფართო, გამძლე დივანი.

ანა-[გულგრილად] დიდი განძია...

ზაზა დაბნეული არ იცის როგორ მოიქცეს, ენა ჩავარდნილი დგას.

ჩუმად გირჩევნიათ? უსიტყვოდ?

ზაზა- უკაცრავად. ენა ჩამივარდა.

ანა- ნერვიულობთ?

ზაზა- გულახდილად? დიახ. თქვენ?

ანა- გულახდილად? არა.[ისევ ოთახს მოავლებს თვალს.]

ზაზა-არა ძალიან კარგი. უაზრობაა, ორივემ რომ ვინერვიულოთ.

ანას ხველება აუტყდება. თავს იკავებს, მაგრამ ხველება უძლიერდება. სკამის

ზურგს ჩაეჭიდება, რომ არ წაიქცეს. ნელ-ნელა ხველება უკლებს.

ანა-[სულს ძლივს ითქვამს. ჯდება.] სიგარეტი!

ზაზა- სიგარეტი? წყალი არ გირჩევნიათ?

ანა-წყალი მოვწიო?[მძიმედ სუნთქავს]

ზაზა- ავადხართ?

ანა- რატომ?

ზაზა-საშინლად ახველებთ.

ანა-თუ ჩემი ხველება გაწუხებს, აღარ დავახველებ. სიგარეტს არ მომცემ?

ზაზა- არ ვეწევი.

ანა- ერთი სიგარეტიც არა გაქვს სახლში?

ზაზა- იცით, ეს ჩემი ბინა არ არის..ეს დედაჩემის ბინაა.

ანა-ხუმრობ?

ზაზა- ამ ბინაში დედაჩემი ცხოვრობს.

ანა- და საცაა შემოგვიერთდება?

ზაზა- რა ბრძანებაა?/ცვირაში ორჯერ, დილიდან ხუთ საათამდე ,დედა

საავადმყოფოში მუშაობს.



ზაზა-ჰმ... რამეს ხომ არ დალევთ?

ანა- დავლევ. პირი მიშრება.

ზაზა- [პორტფელს აიღებს] ვისკის ინებებთ?

ანა-სხვა რა გაქვს?

ზაზა- საქმეც ის არის,რომ მეტი არაფერი.

ანა- აბა რაღას მეკითხები?

ზაზა-რა ვიცი, რესტორანში წვეთი არ დაგილევიათ,ამიტომ ვისკი სხვათაშორის წამოვიღე.[პორტფელიდან ცელოფანში გახვეულ ჭიქებს ამოიღებს]

ანა-ჭიქებიც სხვათაშორის მოაყოლე?

ზაზა- უნივერსალში შევიძინე ნიმუშად.რესტორნისათვის ვაპირებ ყიდვას.

ანა- დედიკოსი გეშინია და მის ჭიქებს ხელს არ ახლებ, ხომ?

ზაზა- ო, რომ იცოდე, რა გულისგამაწვრილებელი ქალია. ოდნავ რომ შეუცვალო რამეს ადგილი, ათას ახსნა-განმარტებას მომთხოვს.რომ იცოდე რა თვალი აქვს, ზუსტად ახსოვს, როგორ ააბუა ბალიშები.

ანა-ამიტომ გაიხადე ფეხსაცმელი, რომ ნაფეხური არ დატოვო?

ზაზა-მგონი რაღაც სისულელეს ვამბობ!

ანა-ეგ არაფერი, საიდუმლო შეხვედრებს თავისი ეშხი აქვს.

ზაზა-[ჭიქას გაუწოდებს] ინებეთ.

ანა[გამოართმევს] ერთი შეკითხვა!

ზაზა-ბრძანეთ!

ანა- ასე უნდა იჩურჩულო სულ?

ზაზა-განა ვჩურჩულებ?

ანა-ჩვეულებრივ, სხვა ხმით ლაპარაკობ.შენი აზრით, ალბათ ჩურჩული უფრო სექსუალურია. მე კი ყურში არ მესმის რას მეუბნები.

ზაზა-უკაცრავად პასუხია და ამ ახალ სახლებში ისეთი თხელი კედლებია... მეშინია... დედაჩემს ძალიან გამკივანი ხმა აქვს... გვერდით ბინაში კი ერთი ძალზე მოხუცი ქალი ცხოვრობს და ოცდაოთხი საათი შინა ზის.უცხო ხმის გაგონებაზე იფიქრებს, რომ.

ანა-სხვა რა გზაა?შენ იჩურჩულებ, მე კი ბინას დავალაგებ და დედაშენივით კივილით დაგელაპარაკები.

ზაზა-არა, როგორ გეკადრებათ, ოღონდ, ცოტათი ხმადაბლა ვილაპარაკოთ მეტი არაფერი.

ანა- ქაღალდი და ფანქარი თუ გაქვს? წერილები მივწეროთ ერთმანეთს.

ზაზა-რა საჭიროა ასეთი უკიდურესობა![ხმას აუწევს] ახლა ხომ ჩვეულებრივი ხმით გელაპარაკებით, მკაფიოთ, გასაგებად. მოგწონთ?

ანა-[გაღიმებული თვს დაუქნევს]გაცილებით.

ზაზა-მართალი გითხრათ, იდიოტივით ვიქცევი, მაგრამ მინდა,თავისუფლად იგრძნოთ თავი.[გაუღიმებს] თანახმა ხართ?

ანა-ძალიან სასიამოვნო ღიმილი გაქვს.

ზაზა-[დაირცხვენს]დიახ, ანუ... გმადლობთ.

ანა- მე არაფერ შუაში ვარ. ღიმილი შენია.



ზაზა-თავ-გზა ამეზნა, ვედარ გაეიფე, როდის მიხვდებით და როდის  
სერიოზულად მელაპარაკებით.[დაჟინებით უყურებს] ძალიან მიმზიდველი  
ქალი ხართ!

ანა- ესეც ასე. გაგიმარჯოს!

ზაზა-თქვენ გაგიმარჯოთ!

ანა ერთბაშად სვამს. ზაზა მოწრუპავს და დაიმანჭება.

ანა- ის მაღალი ქერა ქალი, სულ რესტორანში რომ არის, შენი ცოლია?

ზაზა-როგორ გამოიცანით?

ანა- მხოლოდ ცოლი თუ მივა უსიტყვოდ სალაროსთან, ჩააწყობს ჩანთაში  
ფულს და წავა.[თავს დაუქნევს.] დიდი ხანია შეირთე ეგ შენი ინკასატორი?

ზაზა- დიდი ხანია.

ანა- მაინც? ხუთი, ათი, რამდენი წელია?

ზაზა- ოცდახუთი.

ანა-სტაჟიანები ყოფილხართ... გასაგებია...ისევ?

ზაზა- რა ისევ?

ანა- რა და თითებს ყნოსავ. მესამედ აკეთებ ამას.

ზაზა-რას მეუბნებით? ჩემდაუნებურად მომდის.

ანა- ~~ოცდახუთი საათი თევზის რესტორანში ხარ და თითებზე თევზის სუნიც~~  
~~არ გინდა აგდიოდეს?~~

ზაზა- ეს სულ კონსერვების ბრალია. ძალიან მიყვარს ქილების გახსნა.ამ  
ოცდახუთი წლის განმავლობაში დღეში ას ქილას მაინც ვხსნი... რითი არ  
ვიხეხავ, საპნით,სუნამოთი, პირსაპარსი ქაფით,სკიპიდარით... ცოტა ხნით  
გაქრება, მერე,დაახლოვებით ოთხ საათში, დაბარებულივით, ისევ მიბრუნდება  
ხოლმე.

ანა- მეტი დარდი არ გაქვს?

ზაზა-საოცარი ქალი ხართ, ანა, და ასევე საოცრად შემოიჭერით ჩემს  
რესტორანში. წინათ არასოდეს მინახიხართ. ეს ერთი კვირა კი ყოველ დღეა,  
დადიხართ. რა საგანგებო თევზის დიეტას იცავთ?

ანა-ზოგჯერ ისე მომინდება ხოლმე...

ზაზა-ჭამა?

ანა-სულ ერთია, რისი სურვილიც მომივლის, მაშინვე უნდა შევისრულო.

ზაზა- ვერ გავიგე.

ანა-[უყურებს]ვატყობ, დიდი მიხვედრილობით არ გამოირჩევით. დამისხით!

ზაზა ჭიქას აიღებს და ხელს სახესთან მიიტანს.

დაგიჭირე, დაგიჭირე!

ზაზა- არაფერიც, საათს დავხედე.

ანა- ზუსტად დაყნოსვის დროა.

ზაზა- არა, დედა გამახსენდა, ჯერ დრო გვაქვს, მაგრამ დედა გამახსენდა.

ანა-რომელია?

ზაზა-ოთხის ოცი წუთია.

ანა- დედა ხუთზე ბრუნდება. ჩვენს განკარგულებაში საათი და ორმოცი  
წუთია. კი ბატონო! გადადგამთ პირველ ნაბიჯს?

ზაზა-გადავდგამ,გადავდგავ,აუცილებლად გადავდგამ. უბრალოდ ვიფიქრე,  
ჯერ ვისკის დავლევმეთქი.

ზაზა-საქმე ის გახლავთ, ანა...



ანა-რა ზაზუკა? *ოთხეცე*

ზაზა-დიახ, დიახ, ზაზუკა! ზაზუკა დამიძახეთ!

ანა- სხვა რა გზაა...

ზაზა- საქმე ის გახლავთ, ანა...

ანა-რა ზაზუკა?

ზაზა-საქმე ის გახლავთ ანა, რომ თქვენ ძალიან მიმზიდველი ქალი ხართ.

ანა-ეგ უკვე მოვისმინე.

ზაზა-მართალია. ჯერ კიდევ რესტორანში გითხარით. სწორედ ამ სიტყვებით მოგმართეთ პირველად.

ანა-არა, პირველად რომ დამელაპარაკე, შემწვარი კალმახის ჭამა მირჩიე.

ზაზა-გაცნობის შემდეგ ვგულისხმობ. მას შემდეგ, რაც პირადულ თემებზე გადავედით.

ანა-პირველი პირადული თემაც კარგად მახსოვს: სიცოცხლეში არ უხილავთ ჩემს სათითოე ჯამებს მაგნაირი თითუნები, მე რომ მჭრიან თვალებს.

ზაზა-როგორია? ისე უნდა გამოგიტყდეთ, ცოტ-ცოტას მეც ვწერ.

ანა- რას მელაპარაკები?

ზაზა-ჩემს ჭიას ვახარებ. თქვენ ხომ იცნობთ ჩემ შემოქმედებას?

ანა- მე ? საიდან?

ზაზა- რესტორანში მენიუს ხომ კითხულობთ: სალმის სურნელოვან

საწებელაში ჩაწყობილი საამოდ ჩაშუშული სალამურა.

ანა- გადასარეცია! თანაც რა რითმული? უნივერსიტეტში გასწავლეს?

ზაზა-უნივერსიტეტში არ მივლია. ჯარში ვიმსახურე. ჯარის მერე რესტორან

"ზღვის დედოფალში" ამოყავი თავი. ეს რესტორანი მამაჩემმა დააარსა.

სალმის სურნელოვან საწებელაში ჩაწყობილი... ვინც რა უნდა ის თქვას, მე კი, მენიუსათვის წერა დიდ სიამოვნებას მანიჭებს. ქამბალაზე რომ დავწერე თუ წაიკითხეთ?

ანა- რა დროა?

ზაზა- ოთხის ნახევარია.

ანა- მერე რა გავაკეთოთ? რისთვის დამიბარე? არ გინდა ჩემთან დაწოლა?

ზაზა- გარკვეულწილად...

ანა- ჰო თუ არა?

ზაზა-[პაუზის შემდეგ] დიახ.

ანა- ხუთ საათზე აქედან უნდა ავიბარგოთ. *ზაზა-ეზი*

ზაზა-მე ასე უხეშად არ მითქვამს.

ანა- ბინა რომელ საათზე უნდა გავანთავისუფლოთ?

ზაზა-ხუთზე.

ანა- აბა მე სხვა რა ვთქვი?

ზაზა-მესმის დროის პრობლემის წინაშე ვდგავართ, მაგრამ ის პრობლემაც ხომ არსებობს, რომ ადამიანები უნდა შეეთვისონ ერთმანეთს, ერთი-ორი სიტყვა უთხრან, გაუგონ...

ანა-რატომ მომიყვანე აქ?

ზაზა- აჰ, ანა ასე როგორ შეიძლება...

ანა-რა როგორ შეიძლება?... ხარივით ქმარი მყავს, აქ რომ დამლანდოს, თავ-პირს დამაღლეწავს, შენ კი ზღაპრებს მიყვები შენს საამურ და ბედნიერ ბავშვობაზე.





•ზაზა-ვიფიქრე დაგაინტერესებდათ, იმაზე მეტი გაგეგოთ ჩემზე, ვიდრე ამ ათი წუთის წინ იცოდით...  
 ანა-ნახევარი საათია აქ ვართ...  
 ზაზა-კი ბატონო[იბუტება] ვერ გამიგია რატომ ვერ ავეწყვეთ.  
 ანა-სიგარეტის ბრაღია. ნერვებმაც მიმტყუნა. ყურადღებას ნუ მომაქცევ.  
 ზაზა-ანა, ძალიან მერიდება, მაგრამ მაინც უნდა გკითხოთ...  
 ანა-დიახ, იყო ყველაფერი, თანაც ბევრჯერ.  
 ზაზა-უარს არავის ეუბნებით?...  
 ანა-არასოდეს. უარი არც ერთი მამაკაცისათვის არ მითქვამს. თუ შენთვის რაიმე შეღავათია, თევზის რესტორნის მეპატრონესთან ჯერ საქმე არ მქონია. ასე რომ, ამ აზრით შეგიძლია ქალწულად მიმიღო და იგულისხმო, რომ ჩემთვის პირველი მამაკაცი ხარ.  
 ზაზა-ქანს ქმართან ბედნიერი არა ხართ.  
 ანა-რა შენი საქმეა ვარ თუ არა ბედნიერი?  
 ზაზა-ბოდიშს ვიხდი. მართალი ხართ. ეგ ჩემი საქმე არ არის.  
 მოგწონვართ?  
 ანა-კი  
 ზაზა-მართლა?  
 ანა-ახლა მომწონხარ.  
 ზაზა-ახლა რას ნიშნავს. ესეიგი ხვალ შეიძლება აღარ მოგეწონოთ?  
 ანა-უახლოვეს თხუთმეტ წუთს ვგულისხმობ. მე მხოლოდ მოკლე დისტანციას ვუძლებ.  
 ზაზა-სამწუხაროა.  
 ანა-[ოდნავ სარკაზმულად] ნუთუ?  
 ზაზა-დიახ. სამწუხაროდ და სავალალოდ მიმაჩნია თქვენი მერყევი ბუნება.  
 ანა-არაფერია გაუძლებ... ზაზუკა! ჩემს დღეში არ გამიტარებია დრო ასე მშვიდად. არც ასეთი გულუხვი მასპინძელი მყოლია, არც დედაშენისნაირი შესანიშნავი დიასახლისი მინახავს არსად. კარგად იყავი!  
 ზაზა-სად მიდიხართ?  
 ანა-ქუჩაში. სიგარეტის ნამწვავს მაინც ვიპოვნე სადმე. მერე სახლში წავაღ. ნუ გეშინია, აქედან ისე გავალ, ვერავინ დამინახავს, სულ უკანასვლით ვივლი.  
 ზაზა-რა გეწყინათ? ასეთი რა გითხარით? როგორ გამამწარეთ.  
 ანა-მე გაგამწარე? მე მეუბნები მაგას? სად, ვისთან არ ვყოფილვარ, რა არ უთქვამთ, მაგრამ გამამწარეო არავის უკადრებია! [კარისკენ მიდის]  
 ზაზა- მე მაგ გაგებით არ მითქვამს.  
 ანა-ისიც გეყო, ამ საძაგელ ოთახში რომ მომიყვანე. გამოწყობილხარ ლურჯებში, სათითოთ მასმევ ვისკის, წამდაუწუმ იყნოსავ ამ თევზიან ხელებს და კიდევ მე გაგამწარე?  
 ზაზა-რას ბრძანებთ, არა, არა, სულაც არა ვარ გამწარებული, პირიქით, ძალიანაც გახარებული ვარ! ანა... ანა... გთხოვთ დაბრძანდით... მათქმევინეთ...  
 ანა- რაღა გაქვს სათქმელი?! რაც დრო გგქონდა ლაპარაკს მოანდომე.  
 ზაზა-ანა, თუ შეიძლება ცოტა ხმადაბლა!  
 ანა- [ყვირის] ხმადაბლა?  
 ზაზა-ჩუუ...  
 ანა-[კედელთან მიირბენს და ყვირის] ზაზუკამ დედის ბინაში ბოზი მოათრია!



ზაზა-ანა, რას კადრულობთ? *მეგობარი*

ანა-შენ კი ბებერო ლოქო, მეორედ არ გაბედო თქმა, რომ მე გაგამწარე.

ზაზა-ანა, თქვენ ამაოდ ღელავთ!

ანა- ამაოდ ვღელავ? ამისათვის შეიძლება ტყვია მომხვდეს შუბლში, შენ კი ერთი დამპალი სიგარეტიც არ მაღირსე!

ისევ ახველებს. სულ უფროდაუფრო. ზაზა წრიალებს. აბაზანაში გავარდება. ანა ნელ-ნელა მშვიდდება მძიმედ და ღრმად სუნთქავს. შემოდის ზაზა ჭიქით წყალი შემოაქვს.

ზაზა-თქვენი ფილტვები არ მომწონს. ლოგინში ინგალატორს თუ ხმარობთ?

ანა-ლოგინში რასაც ვხმარობ, მე ვიცი.

ზაზა-ნაწყენი ხართ?

ანა-არა ვარ ნაწყენი, ~~ოღონდ ერთ მწარე სიმართლეს გაგიმხელ ბრწყინვალე მარადსახსოვარი ოცდაათი წუთი გავატარე. მშვიდობით ზაზუკა.~~

ზაზა-არ წახვიდეთ!

ანა-კარგი რა, მაინც არაფერი გამოგივა.

ზაზა-ანა... იცით რა მინდა?

ანა- არფერი გამოგივამეთქი.

ზაზა- გადით, კარი გაიხურეთ, მერეთავიდან ზარი დარეკეთ და შემოდით. გთხოვთ, თავიდან დავიწყოთ.

ანა-ასეთია ცხოვრება... ნახვამდის ზაზა. [გადის თავიდან შემოდის.]

გზად ვიყავი და ვიფიქრე, ერთი წუთით შევივლი მეთქი...

ჯანდაბა!

ზაზა-ხომ არაფერი იტკინეთ?

ანა-ტუჩზე გიკბინე...

ზაზა-ბოდიშს ვიხდი.

ანა-ვერ გამაფრთხილე ტახტზე დაწვენას თუ მიპირებდი?

ზაზა- მაჩვენეთ ტუჩი. ტილოს დაგადებთ.

ანა-არაფერია, ქორწილამდე მომირჩება.

ზაზა-რეგვენი ვარ, დებილი, რა ჯანდაბად გაკოცეთ ასე მაგრად.

ანა-გამაოგნებელი კოცნა იყო. ცოტათი მოულოდნელი, მაგრამ არაჩვეულებრივი.

ზაზა-ესე იგი, მაპატიეთ? არაჩვეულებრივი ქალი ხართ ანა. არასოდეს მინახავს თქვენნაირი გუნებაცვალებადი ადამიანი.

ანა- ეს განსაკუთრებული ნიჭია.

ზაზა-განგებ იფარებთ უხეშის ნიღაბს.

ანა- სანამდღოს ვდებ , ახლა ხელს გამომართმევ.

ზაზა-გამოიცანით. განა არ გსიამოვნებთ, როცა მამაკაცს თქვენი ხელი უჭირავს?

ანა-გააჩნია მეორე ხელით რას აკეთებს. იმედი მაქვს ლაპარაკში დროს აღარ დავკარგავთ!

ზაზა-ანა, კვდები ისე მაინტერესებს, *ავშო ნაშ* ახალგაზრდობაში როგორი იყავით?

ანა-მსუქანი და დამუწუკებული. გავგიჟდები. ჩიბუხსაც არ აბოლებ?

ზაზა-ღმერთო ჩემო, მეტი საფიქრალი არა გაქვთ? ეს არის ახლა მთავარი?

ნუთუ მყრალი სიგარეტის მეტი არაფერი გინდათ?

ანა- როგორ არ მინდა მაგრამ...



ზაზა-აქედან გიყვლით, იქიდან, ვცდილობ შევიცნო თქვენი ადამიანური არსი, განა ეს ცუდია?

ანა- ცუდი არაფერია ხუთ საათზე რომ არ ვიყოთ წასასვლელები.

ზაზა- არ დამიმალეთ, სიმართლე მითხარით, უფრო ბედნიერი იქნებოდით, პირდაპირ დაგტაკებოდით, კაბა შემომეხია... არც გამარჯობა, არც მოფერება, არაფერი, მხოლოდ ფიზიკური, ცხოველური აქტი! გერჩიათ?

ანა- ურიგო არ იქნებოდა...

ზაზა-თუ მხოლოდ ეს გინდათ, მე, რათქმაუნდა შემიძლია შესაბამისად მოვიქცე. ანუ ამ მხრივ არავითარი პრობლემა არ არსებობს. ვიმეორებ, ამ მხრივ არავითარი პრობლემა არ არსებობს.

ანა- აბა, რა მხრივ არსებობს? არ არსებობს... თუმცა არსებობს. ჩემი აზრით, ეს სიმხეცეა. ჩვენ ერთმანეთს არ ვიცნობთ და მე მინდა, რომ გავიცნოთ. თქვენ

ადამიანი ხართ, ქალი. კაცს კი ქალის პატივისცემა მუდამ მართებს. *მე ი კოხსეზს დავსეზ*

ანა- ზაზუ, ერთ უფასო რჩევას მოგცემ, რათა დღევანდელმა დღემ სულ უსარგებლოდ არ ჩაიაროს. მარადიული სიყვარული და რომანტიკა თუ გინდა, დაავლე ხელი გიტარას და ჰაიდა ესპანეთისაკენ! მე კი წავედი. აქამდე ვარ შენი პატივისცემით!

ზაზა- უღირსად მოიქეცით, არ გაკადრებათ!

ანა-ფარისევლო! მლიქვნელო! საზიზღარო! შენ ვინა ხარ, მე ცხოვრება მასწავლო? მაშინ რას მეტყოდი, პრანჭვა-გრეხით და წუწუნით რომ მოვსულიყავი: ბატონო ზაზა, ქმრიანი ქალი ვარ და როგორ მკადრებთ ასეთებს- მეთქი. მაშინ, გაინაზებოდი, მეტყოდი, რომ დიდ პატივს მცემ, აღფრთოვანებული ხარ. ხოლო ნეტარების წამებში, სიყვარულშიც კი გამომიტყდებოდი. არა და, მშვენივრად იცი, რომ ხვალ, ღმერთს შესთხოვდი, ნეტა აღარ გამოჩნდესო. მეტსაც გეტყვი, ეს ნორმალურიც იქნებოდა. არ ვიცი და არც მაინტერესებს შენი პრობლემები, მაგრად შეინახე შენი საამოდ ჩაშუშული სალამურა.

ზაზა- არ გაინძრეთ! ხმა, კრინტი, არც დაახველოთ, არც ისუნთქოთ! იჯექით და ენას კბილი დააჭირეთ, ვიდრე წასვლის ნებას მე არ მოგცემთ! პირველი ქალი ხართ, ვისთანაც ვცადე ~~წინასწარი განზრახვით~~ მეღალატა ცოლ-ქმრული ერთგულებისათვის. *25 წლის განმავლობაში სხვა ქალისათვის არც კი მიჰოცნია, არა თუ...* *25 წლის განმავლობაში!* ცოლად ჩემი პირველი სიყვარული შევირთე- ~~სკოლიდან გიყვარდა ერთმანეთი- გინდ დაიჯერეთ, გინდ არა, 16 წლიდან 13 წლამდე~~ დავდიოდით. ოცდახუთის დავქორწინდით. როგორ ფიქრობთ, რამდენი ქალი ვიგემე ქორწინებამდე? ერთი! 18 წლის რომ შევსრულდი ჩემმა ძმამ საროსკიპოში წამიყვანა. იქ სულ ნახევარ საათს დავყავი 44 წლის ქალთან, რომელიც შიშველი დამხვდა ლოგინში და გაზეთს კითხულობდა. არ ვეწევი, არ ვთამაშობ და რაც თქვენ აქ ორ საათში დალიეთ, იმდენი ცხოვრებაში არ დამილევია. არასოდეს დამიმტვრევია მანქანა, არც მიჩხუბია, არაფერი მომიტეხია, ოცდაჩვიდმეტზე მეტი სიცხე არ მქონია არასოდეს. ~~ბედი მართო კიარ მწყალობს, მიფარავს კიდევ... სამი საათი უფილი მყავს, სახლიც ჩემი მბიძე შრომით შევიძინე. ჩემი ცოლი ყოვლად ჩვეულებრივი ქალია. არც მიმზიდველია, არც ამაღელვებელი, სამაგიეროდ კეთილია, მზრუნველი, ერთგული და მიყვარს. ალბათ, გაინტერესებთ 75 წლის ერთგული ცხოვრების შემდეგ რატომ დაგიწერეთ ანგარიშის მეორე გვერდზე დედაჩემის მისამართი~~



და ახლა კი მეშინია, აქ არაფერს მომისწროს? რატომ? ახლავე  
 მოგახსენებთ... ~~თვითონვე არ ვიცი~~. 50 წლისა ვარ და წარმოიდგინეთ, ახლა  
 დავიწყე სიკვდილზე ფიქრი; სიკვდილი გარდაუვალია. დადგება დრო და  
 მოგვადგება, შესაძლოა იმაზე ადრე, ვიდრე ელოდები. ჰოდა მეც ვეკითხები  
 საკუთარ თავს: რას გამორჩი-მეთქი ზაზა ცხოვრებას? 50 წლისა ხარ და როგორ  
 გაატარე ეს წლები? იცით, რას ვპასუხობ? "არანაირად-წესიერად" ჩემი  
 არსებობის საერთო ჯამია წესიერება. წესიერად რომ დავასრულებ სიცოცხლეს,  
 მერე ~~სამარცხი ჩავალ~~. დაკრძალვაც წესიერი მექნება, ლურჯ კოსტუმში  
 დამასაფლავებენ. ცოლი დამიტირებს, შავებსაც ჩაიცვამს, ერთი წლის შემდეგ  
 კი სხვა წესიერ კაცს მონახავს და გაყვება... არც გავამტყუნებ. რას იზამ,  
 სიცოცხლე გრძელდება... მაგრამ, სანამ იგი გრძელდება, ნუთუ არ შეიძლება  
 "წესიერზე" უკეთესი იყოს? ყოველ დილით 11 საათზე რესტორნის გაღებაზე  
 საინტერესო ხომ უნდა არსებობდეს რამე? ~~ნუთუ ერთხელ მაინც არ უნდა~~  
~~მივეცეოცნებას, იღუმალს სურვილებს, განვიცადო ჯერ გამოუცდელი ტკბობა?~~  
~~და აი თვალფერება დავუწყე ქალებს...~~ დამიჯერეთ, მხოლოდ ერთხელ  
 მინდოდა, ერთი დღის სიხარული, ეს იყო და ეს. და ვინაიდან ჩემს თავს  
 მხოლოდ ერთი დღის უფლება მივეცი, მინდოდა დასამახსოვრებელი,  
 გამორჩეული ყოფილიყო ეს დღე... არავითარი სიმდაბლე, არავითარი  
 უხამსობა ~~მეოქმე~~. მერე კი ისევ ყოველ დღე დილით 11 საათზე გავაღებ  
 რესტორანს, ოღონდ იმ შეგნებით, რომ ერთი წუთით მაინც შევცვალე ჩემი  
 ცხოვრების განრიგი-~~მეოქმე~~  
 ანა- შუა კლასარებაში რომ იყავი, კინაღამ ავღრიალდი, მაგრამ დედაშენის  
~~ხალჩის~~ მოვუფრთხილდი, არ დავასველო-მეთქი.  
 ზაზა-იმედი მქონდა, გამიგებდით, თუმცა დარწმუნებული არ ვიყავი.  
 ანა- როგორ გეკადრება, საშინლად დამაინტერესა. უდიდესი სამოღვწეობით  
~~გისმენდი~~. ჯერ ერთი, გამორიცხული არ არის ის 44 წლის ქალი  
 საროსკიპოში-დედაჩემი ყოპილიყო... ყრველი მამაკაცი, რომელსაც იმედი  
~~ქვს, რომ თევზის რესტორანში გამოქერილ ქალთან ამაღლებული~~  
~~სიყვარულით აღსავსე ღამაზე და დამატრობელ დღეს გაატარებს~~ ან  
 ხექსულაღურად განუვითარებელია, ან ნამდვილი იდიოტია. ეჰ, ზაზუ, ვერ  
 გამოვიყენეთ წუთისოფლის მიერ ჩვენთვის განკუთვნილი ეს ერთი დღე.  
 სანუკვარი ოცნებების ასრულებას გისურვებ ზაზა...!!!



*c'est si bon.*

ზაზა-დედა! დე-ე!

მაგიდასთან მივა, პორტფელს დადებს, ფარდას გადმოწევს, კონდიციონერს ჩართავს, პორტფელიდან ამოალაგებს: ერთ ბოთლ ვისკის, ერთ ბოთლ არაყს, სამ კოლოფ სიგარეტს. ტელეფონთან მივა, რეკავს.

ალო ...გუჯა ხარ? ჰო ზაზა ვარ... [ზარის ხმა] მაპატიე... ჩემი რიგი მოვიდა...

კბილის ექიმთან... არ მცალია გავრბივარ...

ყურმილს დადებს კარს გააღებს/შემოდის მაია. ზაზა გაუღიმებს

მაია- რა ბედნიერებაა, კონდიციონერი გქონიათ! იცით, რა ხდება ქუჩაში?

ორმოცი გრადუსია. ყველაფერს გეფიცებით! კი ცხელა ხოლმე, მაგრამ ასეთი არაფერი მინახავს. გამარჯობათ, მე მჩიევარ!

ზაზა- სასიამოვნოა, დიახ, შემოდრძნით. კარს მივხურავ და მეტი სიგრილე იქნება.

[კარს კეტავს]

მაია- ძლივს მოგაგენით. ყველა კარი ტყუპისცალივითაა/ვაიმე! რა საყვარელი ოთახია! ძალიან მომწონს. ხელი ხომ არ შეგიშაღეთ? რამეს ხომ არ აკეთებდით?

ზაზა- რას ბრძანებთ, თქვენ გელოდებოდით. თუ გახსოვთ, ჩვენ შევთანხმდით, რომ...

მაია-ისე მეშინოდა, არ დამაგვიანდეს-მეთქი. პირდაპირ კონკურსიდან ქაღალდიდან მოვდივარ.

ზაზა- დროზე მოხვედით. ჩვენ ხომ სამზე შევთანხმდით.

მაია- ნაღდად ორმოცი გრადუსი იქნება! ვერ ვსუნთქავ. დარწმუნებული ხართ, რომ ხელს არ შეგიშლით? მე შემძლია ცოტა ხნის შემდეგ მოვიდე.

ზაზა- არავითარ შემთხვევაში. მხოლოდ ხუთამდე მცალია.

მაია- მიყვარს ეს უბანი, აქ ჩემი მეგობარი ცხოვრობდა. თუ არ ცხოვრობდა?

ზაზა- არვიცი...

მაია- ვაიმე... არც მე არ ვიცი სად ცხოვრობდა. გუშინ თქვენ პარკში ისეთი სიკეთე მიყავით არასოდეს დამავიწყდება. ღმერთო! იმდენს ვლაპარაკობ და,

მგონი გამარჯობაც არ მითქვამს. გამარჯობათ!

ზაზა- გამარჯობათ!

მაია- ესეც მე!

ზაზა- ვხედავ.

მაია- ღმერთო ჩემო, როცა ვდელავ ძალიან ბევრს ვლაპარაკობ ხოლმე.

შემამჩნიეთ? ვეცდები გავჩუმდე. თუმცა ეჭვი მეპარება გაჩუმება შეეძლო. უნდა მაპატიოთ.

ზაზა- თქვენ რა, დელავთ?

მაია- ახლა აღარ. აქ მოსვლამდე ძალიან ვინერვიულე. საშინელი უსიამოვნება შემემთხვა ტაქსის მძღოლთან. თუმცა, ამაზე ლაპარაკი არ ღირს. ვაიმე... ლამის დავდნე სიცხისაგან! ახლა რომ გული წამივიდეს და წავიქცე, თქვენ ისეთი წესიერი ხართ, დარწმუნებული ვარ არაფერს იკისრებთ!

ზაზა- [გაუღიმებს] დამშვიდებული ბრძანდებოდით.

*არა რას ამბობს სერ რიკო 5 \$  
ჩემ ამბობს ფული სერ ამო მცურს  
გზის ფული 50 50 შეიძლება.*



მაია- რა თქმა უნდა, ტაქსის მძღოლი ხომ არა ხართ! თქვენ ხომ იმას არ

იკადრებთ, რაც მან გამიკეთა.

ზაზა-მაგალითად, რას არ ვიკადრებ?

მაია-ხიდის ქვეშ რომ გავდიოდით, მაინცდამაინც მაშინ ჩამაცივდა, მომეციო, შესვენება მაქვსო. მოდიო, ამაზე ნუ ვილაპარაკებთ. ყველაფერი მშვიდობით მოგვარდა. ალბათ საშინლად გამოვიყურები.

ზაზა- შესანიშნავად გამოვიყურებით.

მაია-წარმოუდგენელია!

ზაზა-შესანიშნავად!

მაია- სამი წუთი დამასვენეთ და მერე მე ვიცი/ვაი, დღეს რაღაც დაბალი მეჩვენებით!

ზაზა-მე? გუშინდელის მერე?

მაია-დღეს თითქოს უფრო დაბალი ხართ.

ზაზა-არ მესმის, რატომ უნდა ვიყო დღეს უფრო დაბალი!

მაია-სანდლები!

ზაზა- რა სანდლები?

მაია- რა შტერი ვარ, გუშინ სანდლები მეცვა, დღეს კი ქუსლებზე ვდგავარ.

დამშვიდდით, თქვენ იმავე სიმაღლისა ხართ, დღეს მე ვარ უფრო მაღალი.

ზაზა-დამიანები ხშირად... *არაა ნაყოფი? ის ალბათ საბჭოებსა მისაძინი ვაჟი*

მაია-იცი, თქვენი ნაწერი ძლივს გავარჩიე/შემეშინდა, სხვას ხომ არ

მივადექი-მეთქი. არა ისე ახლა აქ ხომ არ ვიქნებოდი? [ივინის. ზაზაც

ცდილობს გაიცინოს.] რამდენს ვლაპარაკობ! დღეს ცოტა დავირეხვე.

ნამდვილად სიცხის ბრალია.

ზაზა- რას ბრძანებთ, პირიქით...

მაია- არა, არა, ნამდვილად არ გამოვიყურები დღეს კარგად.

ზაზა- ძალიან მომხიბვლელი ხართ.

მაია-ვიცი, მაგრამ რამდენიმე ჭანჭიკი მაინც მაკლია და ეს განსაკუთრებულ

ემზს მანიჭებს. უხერხულია არა, საკუთარ თავზე ასე ლაპარაკი?

ზაზა- რატომ, რატომ, გულახდილობა ზოგჯერ...

მაია-საშინელებაა, მაგრამ არასოდეს არაფერი მიჩერდება ენაზე და ყოველთვის

რაიმე უსიამოვნებაში უნდა გავყო თავი. ხომ ხვდებით რასაც ვგულისხმობ?

ზაზა-მთლად არა, მაგრამ...

მაია-ვაიმე, ახლა აღმოვაჩინე! ულვაში გაგიპარსიათ!

ზაზა- რა ულვაში?

მაია- გუშინ ხომ გქონდათ ულვაში?

ზაზა- მე? არა.

მაია- არასოდეს გქონიათ?

ზაზა- არასოდეს, არ მიხდება. რაღაც უხერხოდ მეზრდება.

მაია- აბა, გუშინ რომელ ულვაშიანს შეეხვდი?

ზაზა- აი მაგას მე ვერ გეტყვით.

მაია- ვერ ვიხსენებ. იმ ტაქსის მძღოლმა სულ ამირია ტვინი.

ზაზა- მოდიო, დავლიოთ. არაყიც მაქვს, ვისკიც...

მაია- იმ მძღოლის გვარი ჩავიწერე-მაქვს. პოლიციას განუცხადებმეთქი, რომ

ვუთხარი, აზლუქუნდა, ისე აღვარღვარა ცრემლი, ვიფიქრე, სიგარეტს

ჩაუქრობს-მეთქი. მუხლებზე დამიჩოქა, 27წლის ოჯახი მაქვს, ერთი ვაჟი



ჯარში მყავს. მეორე-სამედიცინო სასწავლებელში, თქვენი წყენა სულ არ  
მინდოდაო, არ დამლუპოთო. შემეცოდა, კარგი, აღარ მივალ-მეთქიპოლიციაში.  
მერე ისევ შემომპარა, იქნება, მაინც გავისეირნოთო ~~მ~~ ხიდის ქვემო. აბა,  
როგორ გამოვიყურები?



ზაზა-ბრწყინვალედ!

მაია- ეგ რა არის! ერთხელ ზღვიდან მოვფრინავდი, გვერდით კაცი მეჯდა,  
მთელი ფრენის განმავლობაში ხელი არ გაუჩერებია, სულ მისვამდა... სხვას  
აღარ გეტყვით. სწორედ ასეთ ბინას ვეძებ. აივანი აქვს?

ზაზა-უაივნოა. ხელს გისვამდათ? რატომ არ გააჩერეთ?

მაია-ებრაელი იყო. მაგ ერმა ისედაც იმდენი გადაიტანა, ~~მე რაღა უნდა მეთქვა.~~ წარმოიდგინეთ მისი სითავხედე, წუხელ დამირეკა. ესეც თქვენი ებრაელი!

ზაზა-ტელეფონის ნომერი საიდან გაიგო?

მაია- აზრზე არა ვარ. იქნებმე ვუთხარი, ან სხვამ... რა მნიშვნელობა აქვს. არ  
ღირს ამაზე ლაპარაკი. ისედაც იმდენი ვილაპარაკე, თქვენ სიტყვაც არ  
გათქმევინეთ.

ზაზა- მე, ყურადღებით გისმენთ. დაუჯერებელ ამბავს მიყვებით.

მაია-ექვი გეპარებათ?

ზაზა-მჯერა. სავსებით და ყველაფერი მჯერა...

მაია- იმიტომ, რომ ყველაფერი სიმართლეა.

ზაზა-საშინელებაა.

მაია- დასაღევი თუ გაქვთ?

ზაზა- ჩინებული აზრია. ვისკი? არაყი? ~~შაქარი?~~

მაია- მე არაფერ შუაში ვარ. ჩემდაუნებურად მითრევენ.

ზაზა-რა გასაკვირია, ისეთი მომხიზვლელი ხართ...

მაია- აზრზე არა ვარ, რაღა მაინცა და მაინც მე მომდის ყველაფერი-სულ  
მირეკავენ და უწმაწურ რაღაცეებს მთავაზობენ...

ზაზა- გაფუჭდა ხალხი...

მაია-სად უნდა ვიყო, რომ არ მომაგნონ. ვაიმე, ერთხელ მივედი შინ და ისეთი  
წერილი დამხვდა, ისეთი ცუდი სიტყვები ეწერა!

ზაზა-ღმერთო ჩემო! ~~მე რაღა უნდა მეთქვა.~~ ~~მე რაღა უნდა მეთქვა.~~

მაია- ~~ისეთი ცუდი სიტყვები ეწერა, მსგავსი საშინელება სიცოცხლეში არ~~  
~~მხმუნოა.~~ მერე იყო და, ვიღაცა დარტყმულმა დამირეკა და მთელი 15წუთი  
მაგინებდა. ისე მაგინებდა...

ზაზა- 15წუთი? ~~ჩემო ახ გყავოტო~~

მაია- ვაიმე, უნდა დავრეკო. შეიძლება?

ზაზა-როგორ არ შეიძლება. ~~ვი ხ მძღა უნდა~~

მაია-ერთ მწერალს ვიცნობდი. პორნოფილმების სცენარებს წერდა. მეგონა  
მიყვარდა. მერე გავიგე გიჟი ყოფილა.

ზაზა-როგორ გაიგეთ?

მაია-კბილებს ილესავდა.

ზაზა-კბილებს? რატომ ილესავდა?

მაია-ისე, უბრალოდ. უნდოდა ალესილი კბილები ჰქონოდა.

ზაზა-გაგიჟდება კაცი!

მაია-მეც მაგას არ გეუბნები გიჟი იყო-მეთქი.[სურათს უყურებს] რა  
საყვარელია, დედაა?



ა. უკუაბრუნე აქ

ზაზა- არა, მე ვარ. როგორ მოიშორეთ ის კბილებალუსილი?

მაია- გრძელი ამბავია. სულ იმის მეშინოდა, არ მოვეკალი. ეს თქვენ და მამათქვენი ხართ?

ზაზა- დიახ...

მაია- კაცი, რომ კბილებს ილესავს, იმასთან ხუმრობა საშიშია. ქუდებს რა აწერია?

ზაზა- რესტორანი ზღვის დედიფალი.

მაია- ცუდი სიტყვისათვის ბოდიშს ვიხდი და კი არა წესი იყო. ხომ მაპატიებთ?

ზაზა- რა თქმა უნდა.

მაია- სრულიად შემთხვევით მოხდა ყველაფერი. მედა ჩემი ამხანაგი ერთ ოთახში ვცხოვრობდით, ის კიდეც ჩემი ამხანაგის საყვარელი იყო. მერე ჩემი ამხანაგი სხვაგან გადავიდა, ჰოდა, ის რომ აღარ დახვდა, მერე ჩემთან... კონკურსის შესახებ ხომ გაიმბეთ?

ზაზა- ჯერ არა.

მაია- მიდიხარ? ჯერ არა. ხუთამდე ვარ ხოლმე აქ. კონკურსზე რაღა მოხდა?

მაია- ბრწყინვალედ გამოვედი. მოვეწონე კიდეც ყველას, ამიყვანდნენ, მაგრამ კაცი სჭირდებოდათ. დიახ, აი ასეა. გამოდის, რომ თეატრში ქალები საჭირო არ არის? აი ეს ჩემი ფოტოებია. მე ნამდვილი მსახიობი ვარ. აი ეს მე და ბიჭები... ეს ერთერთი ფილმის კადრებია, ცოტა თამამია, მაგრამ რას ვიზამთ. მე ხომ მსახიობი ვარ. ეს მე და ლეო ვართ.

ზაზა- ეგ ვინღა?

მაია- უშესანიშნავესი ადამიანი ამ ქვეყნად. როცა გამიჭირდა ლეომ გადამარჩინა.

ზაზა- ასეთი რა გაგიჭირდათ?

მაია- გაუქმებულ მიწისქვეშა გადასასვლელში, ერთმა კაცმა მცემა. რა მინდოდა გაუქმებულ მიწისქვეშა გადასასვლელში, ან ის კაცი ვინ იყო? დღემდე აზრზე არა ვარ.

ზაზა- ღმერთო ჩემო რა ხიფათიანი ყოფილხართ!

მაია- მე ისეთები გადამხდენია, თმა ყალყზე დაგიდგებათ. თუმცა მე არაფერ შუაში არ ვარ. [ტელეფონზე რეკავს] ნეტა სად დაიკარგა? ცოლიანი ხართ? [კიდეbs ყურმილს]

ზაზა- დიახ, დიახ, ცოლიანი ვარ.

მაია- ეჰ, ადამიანები ზოგჯერ ისეთი ბოროტები არიან...

ზაზა- [სახმელს უსხამს] მიირთვით.

მაია- თქვენზე კი არ ვამბობ. ცოლიანები იშვიათად ბოროტდებიან. პირიქით, სულ სინდისის ქენჯნას განიცდიან.

ზაზა- ასე ფიქრობთ?

მაია- ყველა ცოლიანი ასეა. ერთი ჩემი ცოლიანი ნაცნობის გარდა. საკუთარი სიბოროტე ახრჩობდა. ღმერთო, როგორ გადაგიშალეთ გული... აღარაფერი დაფარული აღარ გამაჩნია. თუ ნებას მომცემთ, მოვწევ.

ზაზა- როგორ გეკადრებათ, რამდენიც გინდათ მოწიეთ. ყველანაირი სიგარეტი მაქვს, აირჩიეთ- ფილტრიანი, უფილტრო, თუთუნნი...

მაია- გმადლობთ, საკუთარს ვეწევი. მომეცით სიტყვა, რომ იმ ცოლიანზე არაფერს მკითხავთ.



ზაზა-არაფერს გკითხავთ.

მაია-დაიფიცეთ, რომ ეს ამბავი ჩვენს შორის მოკვდება.

ზაზა-თქვენი ნებაა. ნუ მიაშვებთ.

მაია-სხვა დასხვა მიზეზის გამო, მის ვინაობას არ გაგიმხელთ. უბრალოდ ბატონ იქსით მოვიხსენიებ. მეტს არაფერს გეტყვით. უბრალოდ ბატონი იქსი. დავით იქსი. აქვე ცხოვრობს, სასტუმროებთანაა დაკავშირებული[ეწევა] დარწმუნებული ვარ იცით ვინც არის. პარლამენტარია.

ზაზა-ნუთუ...

მაია-უნდა მაპატიოთ. მეტს ვერაფერს გაიგებთ ჩემგან. კრინტსაც აღარ დავძრავ. ჩემი სიგარეტი გინდა?

ზაზა-მართალი გითხრათ, არ ვეწევი.

მაია-არც მე, ასე, როდესაც ბატონ იქსს ორი წლის წინათ შევხვდი. და ერთხელაც...

ზაზა-თუ გარბენდა გკითხოთ... თქვენ[ჩურჩულით] მარიხუანას ეწევით?

მაია-ვერ გავიგონე?

ზაზა- ხმამაღლა არ შემიძლია. გვერდით ერთი მოხუცებული ქალი ცხოვრობს და ყური კედელზე აქვს მოდებული.[ყურში] მარიხუანას ეწევით?

მაია-გინდა?

ზაზა-ო, არა!

მაია- ნარევია. თურქული თამბაქო და ანაშა. ტრანკვილიზატორის მაგივრად გამომიწერა ექიმმა. სხვათაშორის, ძალიან სასიამოვნო ღიმილი გაქვთ.

ზაზა- დიახ, სხვამაც მითხრა.

მაია- სოლიდური კაცი ბრძანდებით, ვიღაც არამზადა ხომ არა ხართ?

ზაზა- აბა, რა ვიცი...

~~მაია-გულიანი, საყვარელი, თქვენსაირ კაცს იშვიათად ნახავთ ფატრის სამყაროში. მართალი ტუ გინდათ, სხვაგანაც...~~

~~ზაზა-ვისთანაც კი საქმე მქონია, უმეტესობა...~~

მაია-მდგრადი ყველა ნამიძრაა... კარი ჩაკეტილია?

ზაზა-კარი? დიახ, რატომ მეკითხებით?

მაია-~~ისე~~ მომეჩვენა, ~~თითქმის~~ ვიღაც მითვალთვალებდა. ~~ნამდვილად შევცდი.~~

ზაზა-ვინ უნდა გითვალთვალებდეთ? ვინ იცის აქ რომ ხართ? და სად ხართ?

მაია- ვაიმე, რა საყვარელი ხართ! გემინიათ, ვინმე ეჭვიანი, გადარეული არ შემოგივარდეთ და თავი არ გაგიხეთქოთ?... არადა მაგარი იქნებოდა...

სისხლით მორწყული ბრძოლის ველი...

ზაზა-იცით რას გეტყვით...

მაია-აუჰ, რა ამბავი ატყდებოდა გაზეთებში,... ნალდი სარეკლამოა... ნუ გემინიათ, ჩვენ მსგავსი არაფერი გვემუქრება.

ზაზა-მაია, თქვენ უნდა იცოდეთ. მე აქ მხოლოდ იმიტომ მოგიპატიუეთ,

მაია-მივხვდი, ბატონო. სულ არ მიფიქრია, რომ რაღეს დამიპირებდით. მოვრჩი, მოვწიე. ეს დაფშვებით და ფერფლთან ერთად უნიტაზში ჩაყარეთ. თანაც ორჯერ ჩარეცხეთ. თქვენ აზრზე არ ხართ, რამდენი კაცო-ხეხავს ციხეს, მარტო იმის გამო, რომ ტუალეტი ერთხელ ჩარეცხა.

ზაზა-ორჯერ. დავიმახსოვრებ. სუნი მაინც არის.

მაია-იქ, ვიღაც კაცი დგას.

ზაზა-სად?

მაია-იმ მხარეს სადარბაზოსთან. სხვა დროს თუ გინახავთ?

აი აუ არ მოვიტყუებ





ზაზა-სულ მანდ დგას. ~~კარისკადი~~ *ქვიშა*

*მეც სეცოქე მყუხმ?*

მაია-ალბათ სულელი გგონივართ, არა?

ზაზა-არა, მაგრამ რაღაცით შემოგთქვამს *ეჭოვნად ქვიშა* ჩანხართ.

მაია-შეიძლება გენდლოთ?

ზაზა-როგორც უახლოეს მეგობარს. *ძანს*

მაია-[ვისკის ისხამს] არც გიყი ვარ და არც ფეთიანი და რასაც გეტყვით, სრული სიმართლეა. იცით ძალლი მომპარა.

ზაზა-ვინ?

მაია-მპარლამენტარმა... ერთი წლის ლეკვი მომპარა. შეიძლება ხავსებით გენდლოთ?

ზაზა-სამარე ვარ. თქვენი ძალლი რაში დასჭირდა?

მაია-აბა, ვიგონებ?

ზაზა-არა, რატომ. რაკიმეუბნებით, რომ მოგპარათ, ესე იგი მოგპარათ.

მაია-თუ არ მომპარა, სად არის? ძალლს ისე ვუყვარვარ, ძალით თუ არ ჩაკეტეს სადმე, აქამდე დაბრუნდებოდა.

ზაზა-პოლიციას თუ შეატყობინეთ?

მაია-აზრი არა აქვს. პოლიცია მის მხარეზეა. მე ხელიგულის მიხედვით ყველაფრის გაგება შემიძლია. [მ.დერის] თევზის სუნი მეცა. *მწიფი ნვს. ყოველი*  
ზაზა-რისი? *ვაიბეო მოხერხე, ნო მტყო*

მაია-თევზის.

ზაზა-ყური მიგდეთ მაია, აქ იმიტომ მოგიყვანეთ, რომ...

მაია-ჩემი ძალლი მინდა იმიტომ მომპარა, რომ ყველაზე ეჭვიანობდა. გაგონებაც არ უნდოდა, რომ მყოლოდა ძალლი, მქონოდა მანქანა, მემუშავა თეატრში.

განსაკუთრებით თეატრი აგიყვებდა. მე ხომ ძალიან ნიჭიერი ვარ და სულეშინოდა არ დავეკარგე. სულ ფეხდაფეხ დამდევდა კინალამ საგიჟეთში ჩამტოვა.

ზაზა-რატომ?

მაია-რომ არ დავეკარგე. ისე ჩემი ბრალიცაა. თავი მოვიგიჟიანე. მაღაზიაში შევედი და ნერვიული გულყრა გავითამაშე. თანაც როგორ! წუთში მოვიდა პოლიცია, სასწრაფო დახმარებაც. ეტყობა ჩასაფრებული იყო, თორემ ასე ხუთ წუთში სასწრაფო დახმარება საიდან გაჩნდა? იმის მეტი ვინ გამოიძახებდა?

ზაზა-მერე?

მაია-გამომიკვლიეს.

ზაზა-და შინ გამოგიშვეს?

მაია-სამი თვის შემდეგ. ჰოდა მე თქვენ გეკითხებით: ასეთ განსაცდელს გაძლება ხომ უნდოდა?

ზაზა-უნდოდა, უნდოდა...

მაია-არც ნაწყენი ვარ, არც დაბოღმილი, არც გაგიჟებული. თუმცა შემიძლია თავი გავიგიჟო.

ზაზა-სამისო მიზეზს ვერ ვხედავ. თვითონაც იცით, უკვე გვიანია.

მაია-გინდათ წავიდე?

ზაზა-არა, თქვენი წასვლა კი არ მინდა...

მაია-მაგრამ, თუ წავალ, კმაყოფილი დარჩებით.

ზაზა-კმაყოფილი?... თქვენი წასვლით?... არა, მაგრამ...

მაია-მშვიდად იყავით, თავს არაფერს ავუტეხავ.



ზაზა- რას ამბობთ, რა უნდა აუტყუხთ? რა გაიფიქრეთ?

მაია-არაფერი. მეგონა, მაჯებზე ნაწრილობევი შემამჩნიეთ-მეთქი. ცუდი არაფერი იფიქროთ.

ზაზა- არაფერი შემიმჩნევია! წარმოდგენაც არა მაქვს. რა მესაქმება თქვენს მაჯებთან?

მაია-ფანჯრის რაფაზე ყვავილებს ვრწყავდი, შუშა ჩამოვარდა და ვენები გადამიჭრა.

ზაზა-ხდება, ხშირად ხდება ხოლმე. ბევრს ვიცნობ ასეთი ნაჭრილობევით.

მაია- მაპატიეთ. ყველას ეჭვის თვალით ვუყურებ. ახლა კი უნდა წავიდე.

ზაზა-რა გაეწყობა, თუ ასე გასურთ...

მაია-წასვლის წინ ერთს გავაბოლებ.

ზაზა-სახლამდემოგეთმინათ...

მაია-ექიმმა მითხრა, არ მოითმინო გაწყენსო.

ზაზა-ცხადია, ექიმის რჩევას მე ვერ..., მაგრამ როგორც გითხარით...

მაია-ხომ დამპირდით მოვწევო?..

ზაზა-იქნებ-მეთქი, მერე...

მაია-თქვენ მითხარით, მერეო...

ზაზა-არა, მე გითხარით, იქნებ-მეთქი მერე... *კუ ვიცყოფი სიგატყდა ან ვერევი. ხოლ რა...*

მაია-ფეხს არ მოვიცვლი აქედან, სანამ არ მოუკიდებთ! *აქ? აქ ნაჯი... ვინც აქ.*

ზაზა-ეგრე იყოს. ერთხელ მოვქაჩავ, მსუბუქად, მერე საქმე მაქვს.

მაია-მენიუსათვის ლექსები უნდა წეროთ? *რო ნაჯის კაჭარცხავ*

ზაზა-დიახ. [პირშიჩაიდებს სიგარეტს] დავიწყოთ.

მაია-თვალეები დახუჭეთ.

ზაზა-მაგდენი დრო არ მაქვს. ერთი ნაფაზი და მაგიდას უნდა მივუჯდე.

მეყოფა. *ეგ ან რაღაცა*

მაია-არა, უნდა გიყუროთ, მეორეს როგორ დაარტყმით. *მერი*

ზაზა-ეგ რა საყურებელია, ათასჯერ გინახავთ

მაია-რატომ *არ* ჩაისუნთქეთ!

ზაზა-ჩავისუნთქავ, ჩავისუნთქავ, ახლავ ჩავისუნთქავ.

მაია-ახლა გადაყლაპეთ! ახლა ამოისუნთქეთ!

ზაზა-ღმერთო ჩემო, ვერ ამოვისუნთქე შემრჩა! *მაჯი პაქიბა*

მაია-ცოტა ხანში პირი გაგიშრებათ, თითები ჩხვლეტას დაგიწყებთ. როგორ ხართ?

ზაზა- არავითარი შეგრძნება არ მაქვს.

მაია-პირი გაგიშრათ?

ზაზა-ოდნავ. ახლა დამეწყო. რა საზიზღრობაა! გამიშრა!

მაია-უმადლესი ბალახია. ჩხვლეტა დაგეწყოთ?

ზაზა-ჰო,... ენა მერთმევა, წამერთვა, ძლივს ვლაპარაკობ...

მაია-დანებდით, საყვარელო, მოდუნდით...

ზაზა-ვნებდები... აღარ შემიდლია... ჯანდაბას...

მაია-ახლა გადაწექით და იკაიფეთ.

ზაზა-ვეცდები...ვეცდები,...

მაია-[ეწევა] მმმმმმ.....

ზაზა-გული! გული! ვერ ვგრძნობ! გული სად არის?

მაია- გახსენით გული, გული გაუხსენით ადამიანებს.



ზაზა- უკვე, უკვე გავუხსენი.

მაია- ახლა გადაწეით და იკაიფეთ.

ზაზა-სადღაც მივდივარ... არ ვიცი, სად?...

მაია- წადით... ერთხელ მაინც მიუშვით თავი. ღმერთო ჩემო რამდენი რამ განმიცდია...

ზაზა-ვიცი...ვიცი...

მაია-პარლამენტარ ბატონ იხსზე გიამბეით?

ზაზა-მაღლი რომ მოგპარათ და კბილებს ილესავდა? გვეყვია ჩიხი, დახამენცაუნი აბიეს

მაია- მეტი რა გითხრათ, მიყვარდა თქვენ კარგად იცით სიყვარულის ფასი. ილესვენ ძოიენს

ზაზა-ღმერთო ჩემო, ღმერთო ჩემო!...

მაია-მალიან ძნელია მარტოხელა ადამიანისათვის ამ ქვეყნად გზის გაკვალვა. იმხავენ. მესე და

მე კი- რას ვთხოულობ-სულ ცოტა რამეს, ერთ სპექტაკლს... ნიჭი მე არ მაკლია, აუ ჩოვონი მ

ღმერთმა უხვად დამაბერტყა-დანარჩენი დროის საქმეა

ზაზა-საქმეც ეგ არის მაი...

მაია-ადამიანი სიკეთეს ვერ იმეტებს. ყველა შურიანია, ბოროტი...

ზაზა-რამდენ რამეზე ვოცნებობდი, ვერაფერი ვერ გავაკეთე. მომატყუეს! ყველა

მოგვატყუეს!... ყველანი ხაფანგში ვართ გამომწყვდეულები...პარლამენტარები საი აქი

კბილებს ილესვენ და ზაღლებს იპარავენ. გვიშველეთ! მოგვებმარეთ!

[სიმღერა]

ახს აქი



## მესამე მოქმედება.

ზაზა-მაგდა!

(ხელს გაუწოდებს და ოთახში შემოჰყავს.)

გაგიჭირდა მოგება?

(მაგდა თავს გაიქნევს.)

ხომ არ წვიმს?

(მაგდა თავს გაიქნევს.)

ძალიან კარგი.

(მაგდა მიბრუნდება.)

მაგდა, მოხდა რამე?

(მაგდა ისევ თავს გაიქნევს. ზაზა მის ხელს აიღებს.)

მაშინ, აქეთ მოდი და დაჯექი. რა გჭირს მაგდა? აბა, შემომხედე!

ხომ კარგად ხარ?... მოდი ჩემთან! მომისმინე, ვაღიარებ, რომ ერთგვარი

უხერხული მდგომარეობაა. სჭორედ ამიტომაც გცემ პატივს, რომ არ

ნერვიულობდე. ზოგ-ზოგივით თავხედურად, რომ იქცეოდე, ან ისეთი

დარტყმული იყო, ამასწინად პარკში, რომ შემხვდა, მაშინ სხვა იქნებოდა.

მაგრამ, შენ სულ სხვა ხარ. მაგდა, ჩემსა და მერის ნაცნობ-ამხანაგებს შორის

გამორჩეულ პატივს გცემ და მიყვარხარ. აი, ამიტომაც უზომოდ გამიხარდა

გუშინ, როდესაც მაგრძნობინე, რომ...

მაგდა ატირდება.

რა მოგივიდა მაგდა, რა გატირებს?

(მაგდა ჩანთიდან ცხვირსახოცს ამოიღებს, სახეზე აიფარებს და ტირის.)

მაგდა, გთხოვ, კარგი რა... რა მოგივიდა? შემომხედე, ზაზა ვარ! ზაზა!

(მაგდა ხელს კრავს. ზაზა გაოგნებულია.)

რას აპირებ მაგდა? ხუთ საათამდე ასე უნდა იჯდე და იტირო? ჰა?!...

(მაგდა წამოხტება, ტირილ-ტირილით გავა სააბაზანოში.)

მაგდა! მაგდა!... ო... გამაგიჟებენ ეს ქალები!

(მაგდა უცებ შემოვარდება. აღარ ტირის. იღიმება.)

მაგდა-რა მიინდა მე აქ? თორმეტი წელია გიცნობთ, შენ და მერის. მე და მერი

ახლო მეგობრები ვართ და არავითარ შემთხვევაში მე მერის გულს არ ვატყენ.

შენ და ჩემი მეუღლეც მეგობრობთ. ასე, რომ მე შენ გეკითხები: რა მიინდა მე აქ?



ზაზა-ის, რომ ... მე დაგპატიჟე. უსათუთესი გრძნობები მაქვს შენს მიმართ. იცი, რა, მაგდა, დადე ეგ ჩანთა, დამშვიდდი, მე კი ამასობაში სამზარეულოდან შამპანურს გამოვიტან

მაგდა-ზაზა, იცი თუ არა, რომ მე შენ ფიზიკურად სრულიად არ მაღელვებ?

ზაზა-არა, არ ვიცი...

მაგდა-მე შენ მიყვარხარ, პატივსაც გცემ, მაგრამ პიზიკურად სრულიად არ მიზიდავ.

ზაზა-რა გაეწყობა!

მე შენზე უფრო სიყვარულს გავუთქვამ.

მაგდა-ხომ მაქვს უფლება გულახდილად დაგელაპარაკო? არ გატყუებ, ჩვენ ხომ დიდი ხანია ვიცნობთ ერთმანეთს.

ზაზა-აბა...

მაგდა-მამასადამე, ყოველგვარი მიკიბულ-მოკიბულის გარეშე შემიძლია გითხრა-შენ მე ფიზიკურად არ მაღელვებ.

ზაზა-კეთილი, კეთილი, ეს საკითხი ამოწურულად ჩავთვალოთ. დადე ჩანთა. დამშვიდდი. დასალევს გამოვიტან.

მაგდა-ცუდად არ გამოვიტან. საერთოდ გარეგნობას არავითარ მნიშვნელობას არ ვანიჭებ, ამ შემთხვევაში ეგ სულაც არ მიშლის ხელს.

ზაზა-კიდევ კარგი!

მაგდა-ემოციური, ინტელექტუალური გაგებით მომწონხარ კიდევ, მაგრამ, მაგრამ არავითარ ფიზიკურ ლტოლვას არ იწვევ ჩემში.

ზაზა-გადასარეგია... მე კი რატომღაც სულ მეგონა, რომ ჩვენ ერთმანეთს ვაღელვებდით.

მაგდა-ოღონდ არა ფიზიკურად.

ზაზა-არა ფიზიკურად. კეთილი. ამაზე ნულარ ვილაპარაკებთ. ერთი წუთით მაგდა სამზარეულოდან შამპანურს გამოვიტან.

მაგდა-ზაზა, იცი, მე და ლუკას, უკვე რვა თვეა სიახლოვე არ გვქონია?

ზაზა-ჰოო...

მაგდა-რვა თვეა არ გამკარებია.

ზაზა-მაგდა, მაგაზე შენ ქმარს უნდა ელაპარაკო.

მაგდა-ლუკა ახლოს იყო ჩემთან, მე არა.

ზაზა-საინტერესოა, როგორ ახერხებთ ამას?

მაგდა-ფიზიკური ურთიერთობა არ მიზიდავს, ზაზა.

ზაზა-საინტერესოა, სულ არა?

მაგდა-იყო დრო, მიზიდავდა- ახლა აღარ.

ზაზა- მაგდა... რვა თვე... ო ღმერთო ჩემო რა გასაკვირია...

მაგდა- რამე ხომ არ უთქვამს ლუკას ამის შესახებ შენთვის?

ზაზა-რას ამბობ, ხომ იცი ლუკა დიდი მოლაპარაკე არ არის.

მაგდა-თქვენ ხომ ყოველდღე ხვდებით ერთმანეთს?

ზაზა-შაბათობით, ~~წარღვს~~ ვთამაშობთ ხოლმე. პირად საქმეებზე არ ვლაპარაკობთ.

მაგდა-ვერც უგუნებობა შეატყვე?



ზაზა-ვერა.თუ შეიძლება ჩანთა მომეცი.

მაგდა-ძალიან გთხოვ, რაც გითხარი, ჩვენს შორის დარჩეს!

ზაზა-ექვი არ შეგეპაროს მაგდა...

მაგდა- მაშასადამე, მშვიდად ვიყო?

ზაზა-ცოცხალი არ გავიდე აქედან! გათხოვება არ ეღირსოს ჩემს უპროს

ქალიშვილს, თუ სადმე რამე წამომცდეს...

მაგდა-დაიფიცე!

ზაზა-აბა, რას ვაკეთებ? ორივე ხელ-ფეხი წამერთვას.

მაგდა-ძალიან გამიჭირდა...

ზაზა-მარილებმა დამკრუნჩხოს...

მაგდა-იცი, საიდუმლო შეხვედრებისათვის არ ვვარგევარ.ზაზა

ზაზა-არც მე მაგდა.

მაგდა-როგორ მოვიქცე ისიც არ ვიცი.

ზაზა-უპირველეს ყოვლისა, ჩანთა დადე!

მაგდა-ჩემთვის ახლა ყველაზე მთავარი ის არის,რომ რაც არ უნდა მოხდეს ,

ჩვენ ორს შორის, ამ ოთხ კედელში დაიმარხება.

ზაზა-დანახშირებული მენახოს ჩემი რესტორანი. მშვიდად იყავი მაგდა.

მაგდა-ლუკას, ხომ არ უთქვამს,რომ სხვა ქალი ჰყავს?

ზაზა-არა.

მაგდა-რომ გითხრას, მეტყვი?

ზაზა-გეტყვი.

მაგდა-მერე და რატომ მეტყვი?

ზაზა-არ ვიცი.თვითონ არ მთხოვე? და აბა უარი როგორ გითხრა. აი, ამიტომ.

მაგდა-გასაგებია.

ზაზა-შეიძლება, ჩანთა გამოგართვა, მაგდა?

მაგდა-რაც გითხარი, იმაზე რას ფიქრობ ზაზა?

ზაზა-რა მითხარი?

მაგდა- აი,რაც ხდება ის.

ზაზა-არაფერიც არ ხდება, მაგდა. ჯერ ჩანთას არ მაძლევ და...

მაგდა-არ გაშინებს დრო, რომელშიც ვცხოვრობთ? საყოველთაო გარყვნილება არ გოცებს?

ზაზა-არა, არ შევჯახებივარ. გამიგია, მაგრამ, პირადად არ შევჯახებივარ.

მაგდა-ზაზა, თვლი, თუ არა თავს დამნაშავედ იმის გამო,რომ აქ მომიყვანე?

ზაზა-ვთვლი, თუ არა თავს დამნაშავედ?

მაგდა-კითხვას ნუ იმეორებ. მიპასუხე.

ზაზა-არა,არ ვთვლი.

რა ქენი? რა გადაწყლაპე?

მაგდა-დიგილენი. დეპრესიის საწინააღმდეგო წამალია.

ზაზა-წყალი მაინც მიგეყოლებინა.

მაგდა-სად მეცადა.

ზაზა-ასეთი საშინელი რა დეპრესია გაქვს?



მაგდა-რას ელოდი ჩემგან, ზაზა? გეგონა დროს მხიარულად გაგატარებინებდი? მე ეგ არ მეხერხება.

ზაზა-მე კი მგონია, ძალიანაც კარგ დროს გავატარებთ. შამპანურს მოვიტან. შენ კიდე შეეღიე მაგ ჩანთას და დაისვენე...

მაგდა-ლუკას მართლა არაფერი უთქვამს შენთვის?

ზაზა-ღმერთს გეფიცები, არა მაგდა!

მაგდა-გამიჭირდა აქ მოსვლა ზაზა.

ზაზა-მესმის, მაგდა.

მაგდა-ვინმემ რომ გაიგოს, ან თუნდაც იეჭვოს...

ზაზა-ხელ-ფეხი გამიხმეს... ამაზე ნულარ ვილაპარაკებთ. მაგდა, ვერავინ გაიგებს. ახლავე გამოვიტან შამპანურს. შენ კი მოხერხებულად მოეწყვე, დაწყნარდი. ხედავ ამ მაგიდას?

მაგდა-კი...

უკეთეს ადგილს ვერ მოუნახავ შენს ჩანთას!

მაგდა-შენ, როგორ გრძნობ თავს, ზაზა? თავს როგორ გრძნობ, შენი მეგობრის ცოლის გვერდით?

ზაზა-რა შეკითხვაა? შენ ხარ მაგდა, მე ვარ ზაზა. რატომ ართულებ საქმეს?

მაგდა-[ტელეფონთან მივა, ყურმილს აიღებს.] როგორ გგონია, რას იზამს ლუკა, რომ დავურეკო და ვუთხრა სადაც ვარ?

ზაზა-აღმათ გაგიჟდება. [ყურმილს გამოართმევს და დადებს.] ატყდება სროლა, კაცის კვლა. ნუ ჩავატარებთ ამ ექსპერიმენტს, მაგდა, რა საჭიროა ამხელა განსაცდელის წინაშე დააყენო შენი ოჯახი? [ტელეფონს გასწევს]

მაგდა-ასე ძალიან გეშინია სიკვდილის, ზაზა?

ზაზა-სიკვდილის? მეშინია... მაგდა, დროა დავლიოთ შამპანური...

მაგდა-მაშასადამე, სიცოცხლით ტკბებით? მოგწნთ სიცოცხლე?

ზაზა-მაქვს რაღაც-რაღაცა პრობლემა, მაგრამ სიცოცხლეზე უკეთესი რამ ~~ჯერ~~ არავის, არაფერი მოუგონია... სისულელეზე დროს ნუ ვხარჯავთ... [უნდა ჩანთა გამოართვას] გამაგებინე, რატომ ვერ ელევით ამ ჩანთას?.. *მოგე შენ*

მაგდა-[არ ძლევს.] რა გიზიდავს ცხოვრებაში?

ზაზა-ყველაფერი.

მაგდა-ყველაფერი?

ზაზა-ყოველ შემთხვევაში, ბევრი რამ. ცხოვრებაში უამრავი სიკეთეა.

მაგდა-მაგალითად?

ზაზა-მაგალითად, მაგიჯებს შენი ჩანთა. დადე ძირს, არაფერი მოუვა.

მაგდა-~~რა განიჭებს საციცოცხლო ძალას, ზაზა?~~ *ხო ახლ შენი სიკვდილია ახლი*

ზაზა-აბა, ერთი სიტყვით როგორ გიპასუხო? ვთქვათ-სიყვარული, სექსი,

ოჯახი? [ჩანთას მივარდება და გამოპტაცებს] მომეცი ეგ წყეული ჩანთა. იდოს

აქ. [მაგიდაზე დადებს.] მაპატიე, თავი ვეღარ შევიკავე. უპ, ცოტათი მომეშვა.

მაგდა-რამდენ სიხარულს განიჭებს ცხოვრება?

ზაზა-~~ისევე არ იშლი?~~ *გაააა !!*

მაგდა-რამდენს? რიცხვი, რიცხვი დამისახელე, პროცენტი?



ზაზა-რამდენ პროცენტ ბედნიერებას ვღებულობ ცხოვრებისაგან? ამაზე, როგორ გიპასუხო, მაგდა, ეს ხომ უაზრობაა... ვთქვათ, ორმოცდაათ, 51, 52 პროცენტს, დაახლოებით; გაითვალისწინე, რომ მაქსიმუმს გეუბნები. მაგდა- ჩემი პროცენტი არ გაინტერესებს?... იცი, რა პროცენტი დამისახელა ჩემმა ფსიქოანალიტიკოსმა?

ზაზა- დაბალი, ალბათ ძალიან დაბალი.

მაგდა-რვა მთელი და ორი მეათედი პროცენტი.

ზაზა- ასეც მეგონა.

მაგდა-ზაზა, ოცდაცხრამეტი წლის ვარ და ცხოვრებისაგან მხოლოდ რვა მთელი და ორი მეათედი პროცენტი. სიხარული მაქვს მიღებული.

ზაზა-მე 51-მა პროცენტმა დამალონა და, წარმომიდგენია რვა მთელი და ორი მეათედი პროცენტის პატრონი, რა დღეში იქნები!

მაგდა-ადამიანებზე ძირითადად კარგი აზრის ხარ?

ზაზა-ეს რა, დაკითხვაა?

მაგდა-როგორ გგონია, ქვეყანაზე რამდენია წესიერი, პატიოსანი, კეთილი, მოსიყვარულე ადამიანი?

ზაზა-ბევრი არ იქნება, მაგრამ...

მაგდა- მაგრამ, შენი აზრით მაინც არიან. ქვეყნად არსებობენ წესიერი ადამიანები...

ზაზა-დიახ არსებობენ...

მაგდა-პატიოსანი...

ზაზა-უსათუოდ.

მაგდა-კეთილი...

ზაზა-დიახ, დიახ.

მაგდა-მოსიყვარულე ადამიანები...

ზაზა-რასაკვირველია...

მაგდა-დამისახელე!

ზაზა-აი, ვიცოდი, რომ ამას მეტყოდი, ნამდვილად ვიცოდი.

მაგდა- აბა, ათი ადამიანი მაინც დამისახელე!

ზაზა-ათი?

მაგდა-ხუთი იყოს. შენ რომ კეთილ და პატიოსან ადამიანად მიგაჩნია, ისეთი ხუთი ადამიანი დამისახელე.

ზაზა-რას არ ვიცი, მაგრამ რაღაცას მიმაღავ.

მაგდა- სამი იყოს!...

ზაზა-სამი? დედამიწაზე ამდენი ხალხი ცხოვრობს და შენ სამ ადამიანს მთხოვ? ეგ, ხომ სისულელეა! მეშემოდლია სამასი, სამი ათასი დაგისახელო...

მაგდა-სამიც მეყოფა.

ზაზა-ცოცხლები, თუ გარდაცვლილები?

მაგდა- სამი ადამიანი დამისახელე, ზაზა, სამი კეთილი, პატიოსანი, წესიერი, მოსიყვარულე ადამიანი.



ზაზა-რატომ გგონია, რომ ვერ დაგისახელებ? ასეთი ცინიზმი არ გეკადრება, მაგდა, ასე, როგორ გძულს ადამიანები? ძალიან კარგი. ახალვე მოგახსენებ. ვიწყებ... სიის თავში პირველია... არ გაგიკვირდეს... აბა მოემზადე...

მაგდა- მზად ვარ.

ზაზა- მერი, ჩემი ცოლი.

მაგდა- ეს ერთი.

ზაზა- მეთანხმები? ახლობლების დასახელება ხომ შეიძლება?

მაგდა-მერი ნამდვილად კეთილი და მოსიყვარულე ქალია.

ზაზა-ძალიან კარგი. ესე იგი, მეთანხმები, გმადლობ. ახლა ორი დამრჩა.

მაგდა- ჯერ მხოლოდ მერია.

ზაზა-ისეთ კანდიდატებს ვარჩევ, შენთვისაც მისაღები რომ იყოს. კიდევ დაგისახელებ... ჩვენ პრეზიდენტზე რა აზრის ხარ?

მაგდა- თუ შენ ღირსად თვლი?...

ზაზა-რატქმა უნდა, მე კი არა, ბევრი თვლის. იგი რა მაგდა, გუშინ სამზარეულოში რომ მითხარი, ძალიან მინდა შენთან შეხვედრაო, ვერანაირად ვერ წარმოვიდგენდი, რომ შამაზე სალაპარაკოდ მოხვიდოდი.

მაგდა- მოდი შამპანური დავლიოთ.

ზაზა-ერთი წუთით. დავამთავრო. მაშასადამე: მერი, პრეზიდენტი... და

კიდევ... ღმერთო ჩემო ნამდვილად ქრისტე! მოწონს?...

მაგდა-სამი. მოიგე ზაზა. გილოცავ... - *სიამაღლე ვაჟი და მერი*

ზაზა- რა დიდი და ძნელი საქმე ეგ იყო.

მაგდა-მე კი ვერ შევძელი, ვერ მოვძებნე სამი წესიერი, პატიოსანი და კეთილი ადამიანი.

ზაზა-ნუთუ, ამ 39წლის განმავლობაში...

მაგდა-არავინ შემხვედრია!

ზაზა-კი მაგრამ, რვა მთელი და ორი მეათედი პროცენტი? სამი ადამიანი მაინც აღარ შედის ამ პროცენტებში?

მაგდა-არა.

ზაზა-თუნდაც მერი... *ჩემი ცოლი*

მაგდა-მერი მართლაც კეთილი და მოსიყვარულე ქალია.

ზაზა-მოითმინეთ, მოითმინეთ! პატიოსნებას რატომ არ ასახელებ? შენ უკვე მეორედ გამოტოვე ეს სიტყვა. პირველად მეგონა შემთხვევით მოგივიდა. ახლა კი, მაინტერესებს, რაშია საქმე, რატომ გამოტოვე სიტყვა პატიოსანი?

მაგდა-შენი აზრით, მერი პატიოსანია?

ზაზა-მერი? ჩემი ცოლი? სრულ ჭკუაზე ხარ? უპატიოსნესია! ვისაც გინდა კითხე. პატიოსნების განსახიერებაა. მერი და პატიოსნება სინონიმებია.... ეჭვი გეპარება?

მაგდა-როგორ გეკადრება!

ზაზა-აბა, რატომ გამოტოვე? ჩემი ცოლის პატიოსნებაში ეჭვი გეპარება?

მაგდა- მსგავსი არაფერი მითქვამს, ეჭვი შენ შეგეპარა.



ზაზა- მე შეშეპარა? ღმერთო ჩემო, განა შეიძლება, ვინმეს ეჭვი შეეპაროს მერის პატიოსნებაში?

მაგდა-არ ვიცი.

ზაზა-მე ვიცი. ამ მხრივ არავითარი ეჭვი არ შეიძლება არსებობდეს.

მაგდა-შენ თუ ასე დარწმუნებული ხარ...

ზაზა-რას ნიშნავს "თუ"? სავსებით დარწმუნებული ვარ. რამდენი წელია ერთად ვართ-ერთად გავიზარდეთ, ყოველი მისი ძარღვი და აზრი ვიცი. არ მახსოვს მისი გაბოროტება, სიცრუე, შური. მერი, უნაკლო ადამიანია. მას, ისევე არ შეუძლია იცრუოს, როგორც მე...

[სავარძელში ჩაეშვება, მაგდა თვალს არ აშორებს.]

მაგდა-[დიდი პაუზის შემდეგ] ამგვარად ქრისტე და პრეზიდენტი შეგერჩა.

მესამე დამისახელე.

ზაზა-ტყუილია! მერი სხვებს არ გავს, იგი კეთილი, მოსიყვარულე, წესიერი და პატიოსანია.... რა იგი მერის შესახებ ჩნდებოდა, რაც მე არ ვიცი და უნდა ვიცოდე.

ადრე თუ გვიან მაინც გავიგებ. ასე რომ, აჯობებს ახლავე მითხრა. გესმის მაგდა! ვალდებული ხარ, ყველაფერი მითხრა, ბოლოს და ბოლოს მე ამას მოვითხოვ!

მაგდა-ჩემს ნაცნობებს შორის მერიზე კეთილი, მოსიყვარულე და პატიოსანი არავინ მეგულება. შენ კი უბრალოდ უსინდისო ხარ, იმიტომ, რომ ამაში ეჭვი შეგეპარა. შენ თვითონ ხარ უპატიოსნო. მეც უპატიოსნო ვარ, ვინაიდან, მიუხედავადიმისა, რომ შესანიშნავად ვიცნობ მერის, მაინც მოვედი აქ. ლუკაც უპატიოსნოა, იმიტომ რომ ამ ზომამდე მიმიყვანა. ჩვენ ყველანი უპატიოსნოები ვართ. მერი კი პატიოსანია, მაგრამ მერის შენ ყველაზე პატიოსანი გონიხარ და ეს, ჩემი აზრით იდიოტიზმია. მაშასადამე, მერი იდიოტია. დედამიწაზე ცხოვრობენ უპატიოსნოები, ან იდიოტები-ცხოვრებაში სხვა მე არავინ შემხვედრია.

ზაზა- მგონი ვგიჟდები...

მაგდა- ჩემს ფსიქიატრს ხუთშაბათობით აქვს მიღება.

ზაზა-ნუთუ ყოველივე სიმართლეა. მაგდა? ნუთუ ჩვენ ყველანი, ასეთი ნადირალები ვართ?

მაგდა- ყველაფერი რომ გითხრა იმათზე, ვისაც იცნობ და პატივს ცემ, გული აგერევა. [ცრემლს იკავებს] ჩვენს მეზობელ ნინას, ხომ იცნობ? მაღალ- მაღალი წითური ქალი. ამოდენა მკერდით. ლუკას ისე არ მოსწონდა... მასთან მეგობრობას მიკრძალავდა. მოკლედ ვერ იტანდა.

ზაზა-მერე?

მაგდა-აგერ უკვე რვა თვეა ლუკა მასთან ცხოვრობს. მე შაბათ-კვირას ყავის დალევა ამიკრძალა და თვითონ ყოველ დღე ხვდება. აი რა შესანიშნავ დროში ვცხოვრობთ ზაზა...

ზაზა- იქნებ ცდები, იქნებ, გეჩვენება.

მაგდა-საუბედუროდ არ ვცდები, ლუკამ თვითონ მითხრა. ერთ მშვენიერ დღეს, დამის ორ საათზე გამაღვიძა-მხარზე ხელი დამკრა და განმიცხადა, რომანი მაქვსო ნინასთანო. ვინ ეკითხებოდა? რომ გამაღვიძა მეგონა მე

1  
2  
3  
4  
5  
6  
7  
8  
9  
10  
11  
12  
13  
14  
15  
16  
17  
18  
19  
20  
21  
22  
23  
24  
25  
26  
27  
28  
29  
30  
31  
32  
33  
34  
35  
36  
37  
38  
39  
40  
41  
42  
43  
44  
45  
46  
47  
48  
49  
50  
51  
52  
53  
54  
55  
56  
57  
58  
59  
60  
61  
62  
63  
64  
65  
66  
67  
68  
69  
70  
71  
72  
73  
74  
75  
76  
77  
78  
79  
80  
81  
82  
83  
84  
85  
86  
87  
88  
89  
90  
91  
92  
93  
94  
95  
96  
97  
98  
99  
100



მეგობარი?  
მეგობარი?

ვუნდოდი! იცი, რას ნიშნავს ქმარი ღამის ორ საათზე, რომცოლს გააღვიძებს დაიმას ეტყვის, სხვა ქალი მყავსო... შენ კი ნამძინარევი, მოუწესრიგებელი ისმენ ამ საშინელებას? თანაც ამიხსნა, იმიტომ გითხარი, უნდა იცოდეთ. ჩვენ ისეთ საზოგადოებაში ვცხოვრობთ, სადაც ყველაფერი ნებადართულიაო. დიახ, დიახ, დიდი ბედნიერებაა ასეთ ცივილიზებულ საუკუნეში ცხოვრება! სხვა დროს, საფლავში ისე ჩავიდოდი, ვერც გავიგებდი, რომ ჩემი ქმარი თავისუფალ დროს ნინაჩკას საწოლში ნებივრობდა. ერთი წლის შემდეგ, მკურნალობის კურსს დავამთავრებ, ჩავჯდები მანქანაში და ხიდიდან პირდაპირ წყალში გადავეშვები. არ გეწყინოს ზაზა, მაგრამ მე და შენ არაფერი გამოგვივა.

ზაზა-სად მიდიხარ?

მაგდა-[ჩანთას აიღებს] რას იტყვით, ხომ კარგად გაატარეთ დრო, ბატონო ზაზა, ა? რამდენი ვიცინეთ, არა? ხა-ხა-ხა! მე მგონი ჩემი სიხარულის პროცენტი საგრძნობლად დაეცა.

ზაზა- მაგდა, მე ნადირალა არ ვარ.

მაგდა-თავიდან არ დაიწყო, ერთი აბილა დამრჩა.

ზაზა-ჩლუნგი ვარ, ხისთავა, სახედარი, მაგრამ ნადირალა მაინც არა ვარ.

მაგდა-ეგ შენ უკეთ მოგეხსენება.

ზაზა-არ წახვიდე, არ წახვიდე, სანამ არ მეტყვი, რომ მე ნადირალა არ ვარ...

ჩემთვის ამას დიდი მნიშვნელობა აქვს. მაგდა!

მაგდა-გინდა ვიცნო? ზაზა შენ ნადირალა არ ხარ.

ზაზა-კეთილი.არამზადები ვართ. ყველა ნადირალა,უზნეო, გათახსირებული, გულის ამრევი და საზიზღარია. რა იცი ჩემზე? გგონია პირველი შენ მყავხარ აქ?ჰა-ჰა-ჰა?! გინდა ანაზე გიამბო? რესტორანში მოვჩანგლე. გათხოვილია-სვამს, ეწევა, ახველებს... უნდოდა დავტაკებოდი, კაბა შემომეხია... იცი, ყოველივე რითი დამთავრდა?არაფრით. არაფერიც არ მოხდა.!იმიტომ, რომ რაღაც მშვენიერსა და ამაღლებულს ვეძებდი. იქნებ მაიას ამბავი

გაინტერესებს?ერთი დარეხვილი, უმუშევარი მსახიობია.მერე? მარიხუანა მომაწევინა და სულ ეგ იყო! მეტი არაფერი! იმიტომ, რომ ისევ მშვენიერსა და ამაღლებულს ვეძებდი. გასაქანი არ მომეცა სამზარეულოში, იხუ გინდოდა ჩემთან შეხვედრა, ~~ახლაც მემჩნევა პიჯაკზე, შენი მაიონეზის ლაქები...~~ მეც მოგიპატიჟე. მერე?მოხვედი, ისე იყავი ჩაფრენილი ამ სამ გზის წყეულ ჩანთას, ძლივს გამოგლიჯე ხელიდან. მერე, ზიხარ და აბებს ყლაპავ! ისევ არაფერი, მაგდა! გესმის? არაფერი! იმიტომ რომ, კვლავ მშვენიერსა და ამაღლებულს ვეძებ. ჯანდაბას ყველაფერი! მორჩა, გათავდა! აღარ ვეძებ მშვენიერსა და ამაღლებულს, იმიტომ, რომ არ არსებობს. მართალი ხარ მაგდა, ყველა ადამიანი ნადირალაა. აღარ არსებობენ წესიერი, პატიოსანი ადამიანები. ყველანი ცოდვიანები ვართ. ჟინმორეული, საზიზღარი ურჩხულები. თუკი ბოროტმოქმედების გზაზე ვდგავართ, ბარემ ჩავიდინოთ. თუ გარყვნილები ვართ, ჩავეფლოთ გარყვნილებაში. თუ ცოდვიანები ვართ, ბარემ ბოლომდე შევცოდოთ. მოდი, მაგდა, ჩემთან მოდი!



მაგდა-არ მომეკარო!

ზაზა- ნუ მეხუმრები, მაგდა! მოდი ჩემთან...

მაგდა- ზაზა, შეწყვიტე, სულაც არ მეცინება.

ზაზა-ისეთ რამეს გიამბობ და პარლამენტარზე სიცილი სულ დაგავიწყდება. ~~პარლამენტარზე~~ ~~სიცილი~~

მაგდა-გეყოფა, ზაზა, გამიშვი, უნდა წავიდე, არ გეხუმრები...

ზაზა-შენი აზრით, მე გეხუმრები? შენ მე სულელი ხომ არ გგონივარ? წუხელ სამზარეულოში ლამის შარვალი ჩამხადე და აქ იმიტომ მოხვედი, შენი გასაჭირი მიაშო? მაგრად შეინახე ეგ გულის ამაჩუყებელი ამბები. მე შენი სხეული მაინტერესებს და არა შენი პრობლემები.

მაგდა-ზაზა, გაგიჟდი? რა მოგივიდა?

ზაზა-გაიხადე, თორემ შემოგახევ.

მაგდა-ზაზა, არ მომეკარო, თორემ გული გამისკდება.რა გემართება, შენ ასეთი ხომ არ ხარ.

ზაზა-აბა, როგორი ვარ?მითხარი, მიაშო, სინამდვილეში როგორი ვარ.

მაგდა-მშვიდი, გონიერი,...

ზაზა-სულ ეს არის? კიდე? მითხარი, ილაპარაკე, მინდა მოვისმინო...

მაგდაშენ ცუდს არაფერს ჩაიდენ...[ტირის] ნუ მაშინებ, ზაზა!

ზაზა-მშვიდი, გონიერი... კიდე,კიდე, გააგრძელე.

მაგდა-კეთილი შენზე კეთილი არავინ მეგულება ამ ქვეყნად... გემუდარები გამიშვი!

ზაზა-შენი წყეული ჩანთის დაღპობამდე აქ იწვები. კიდევ რას მეტყვი? გიცდი!

მაგდა-შენ კეთილი ხარ, გონიერი,...

ზაზაგამეორება აკრძალულია! მაგდა, ახალი სიტყვა გამაგონე. ისეთი სიტყვა,

ჯერ რომ არ გითქვამს. აბა, მაგდა, გააგრძელე, როგორი ვარ?

მაგდა-პატიოსანი! შენ პატიოსანი ხარ ზაზა, მართლა პატიოსანი ხარ...

ზაზა-ა-ა-ა-ა!პატიოსანი! აი, ამას ველოდი. პატიოსანი, კიდე?

მაგდა-და... კეთილი.მოსიყვარულე! წესიერი, პატიოსანი...

ზაზა-კი, მაგრამ, მაგდა, რანაირად? ამდენი ხანია მიმტკიცებ,რომ ასეთი ადამიანები საერთოდ არ არსებობენ?

მაგდა-მხოლოდ შენ. მხოლოდ შენ ხარ ასეთი ზაზა.!

ზაზა-მერი?

მაგდა-მერიც.

ზაზა-უკვე ორია, სადაც ორიმოდებნე, მესამესაც ნახავ. რას იტყვი მაგდა?

მაგდა-არ ვიცი, არ ვიცი!

ზაზა-იფიქრე მაგდა, იფიქრე! კიდევ ერთია საჭირო, აბა, ვის დამისახელებ?

მაგდა-არა,არ შემიძლია! ლუკა! ლუკა! სადა ხარ, ლუკა

ზაზა-ლუკას რატომ ეძახი?

მაგდა-მჭირდება, მჭირდება!

ზაზა-იმიტომ, რომ გიყვარს, ხომ?მაგდა?

მაგდა-დიახ, დიახ!



ზაზა-კი, მაგრამ როგორ გიყვარს უპატიოსნო, უწესო და ბოროტი ადამიანი?  
მაგდა-ლუკა ბოროტი არ არის! ის პატიოსანი, წესიერი, კეთილია! დიდი  
ამბავი, თუ მიღალატა! მე ის მიყვარს! ლუკა! ლუკა!

ზაზა-ესეც მესამე. ვიცოდი, თავს გაართმევდი ამ სიძნელეს, მაგდა! [მაგდა  
უხმოდ ტირის, ბარნი მიუჯდება]

მაგდა-რა გვემართება, ზაზა? რა ემართება ქვეყნიერებას...

ზაზა-ცხოვრებას თვალებში უნდა ჩახედო, მაგდა. ქვეყნიერება იცვლება. დროა  
შეეჩვიო...

მაგდა-ვეცდები, ზაზა. დაიფიცე, რომ ამ ამბავს არასოდეს არავინ გაიგებს...

ზაზა-ექიმის მისაღებად დამარტყას ინფარქტმა. დამშვიდდი, მაგდა.

გამოგიძახო ტაქსი?

მაგდა-არა, ვინმე დაგვინახავს..

ზაზა-ნამდვილი არამზადა ვარ, ალბათ, როგორ გეზიზღები, აქ რომ  
მოგიყვანე?!

მაგდა-არა, ზაზა.

ზაზა-არ დაგავიწყდეს, ხუთშაბათს ვახშმად ჩვენთანა ხართ, ხომ მოხვალ?

მაგდა-ნუთუ შენ მართლა გჯერა, რომ ქვეყნად არსებობენ პატიოსანი, კეთილი,  
წესიერი ადამიანები?

ზაზა-მჯერა. გულის სიღრმეში შენც გჯერა.

მაგდა-ალბათ... მაგრამ რაც უნდა იყოს, ღამის ორ საათზე მაინც გავადვიძებ  
ლუკას, მხარზე დავკრავ ხელს და ვეტყვი, საყვარელი მყავს-მეთქი...ესა და ეს...  
ნახოს ერთი როგორია გულის ხეთქვა.[გადის]

ზაზა-ალო, მერი... რას აკეთებ? საქმე არ დაილევა. ჩემო სიცოცხლეც და  
სიყვარულო! რა იქნება, რომ მოხვიდე?... რამე მოვიფიქროთ...რა თქმა უნდა...  
ათი წუთი გეყოფა...არა, არა, რესტორანში არ ვარ... დედაჩემთან... მეტი დარდი  
არა აქვს, სულ ჩვენს დაპატიჟებაზე ფიქრობს! ისე, უბრალოდ... რა მოხდა,  
ნუტუ, ჩემო მერი, მე და შენ იმის უფლებაც არა გვაქვს, ერთმანეთს  
შევხვდეთ?... მოდიხარ ხომ? მოხვალ? მიპასუხე, მოხვალ? ძალიან კარგი...